ეროვნული უმცირესობების ჩართულობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში

პოლიტიკის ნარკვევები

წინამდებარე პუბლიკაცია აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრმა (EECMD) ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისთან ერთად (OSCE-HCNM) პროექტის „საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ჩართულობის გაძლიერება“ ფარგლებში გამოსცა.

აღნიშნული პროექტის მიზანია საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისევე როგორც საკანონმდებლო ორგანოში, ეროვნული უმცირესობების ჩართულობისა და წარმომადგენლობის ზრდის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში მრავალპარტიულ ფორმატში გაიმართა არაერთი შეხვედრა, რომლებზეც საზოგადოებაში ეროვნული უმცირესობების უკეთესი წარმომადგენლობისა და ინტეგრაციის მისაღწევად საჭირო მექანიზმების შესახებ პროექტში ჩართული პოლიტიკური პარტიების, ეროვნული უმცირესობების თემატიკაზე მომუშავე სახელმწიფო ინსტიტუტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მსჯელობდნენ.

წინამდებარე პუბლიკაციის თემებიც პროექტში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციებისა და შეხვედრების დროს განხილული საკითხების ანალიზის საფუძველზე შეირჩა. პოლიტიკის ნარკვევი „ეროვნული უმცირესობები საქართველოს პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგში“ მიმოიხილავს, თუ რამდენად არის გათვალისწინებული ეროვნული უმცირესობების საკითხი პოლიტიკური პარტიების პროგრამულ და სტრატეგიულ დოკუმენტებში. პოლიტიკის ნარკვევი „ეროვნული უმცირესობები რუსული პროპაგანდის პირისპირ“ კი აანალიზებს რუსული პროპაგანდის გავლენას ეროვნული უმცირესობების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციის ხარისხზე.

ავტორი: ბაკურ კვაშილავა
ქართული ენის რედაქტორი: ელზა ნაბახტეველი
დიზაინი და დაკაბადონება: მარიამ ზალდასტანიშვილი

პუბლიკაცია გამოიცა აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის (EECMD) დაკვეთითა და ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისის (ეუთო ეუუკ) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრისა (EECMD) და ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისის პოზიციას (ეუთო ეუუკ).

ეუუკ ოფისი მხარს უჭერს მთლიანი საზოგადოებების ინტეგრაციას, რაც გულისხმობს, ინტეგრაციის მიმართულებით, როგორც უმრავლესობების, ისე უმცირესობების მიერ განხორციელებულ ძალისხმევებს. ამ მიმართულებით ეუუკ ოფისის სახელმძღვანელო პრინციპების გასაცნობად, იხილეთ მრავალფეროვანი საზოგადოებების ინტეგრაციის შესახებ ლიუბლიანას სახელმძღვანელო პრინციპები: http://www.osce.org/hcnm/integration-guidelines

EECMD
EASTERN EUROPEAN CENTRE
FOR MULTIPARTY DEMOCRACY

OSCE
HCNM

ეროვნული უმცირესობები საქართველოს პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგში

წინამდებარე ნარკვევის მიზანია მოკლედ მიმოიხილოს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული თემატიკის მნიშვნელობა ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს არის მცდელობა იმისა, რომ შევაფასოთ, რამდენად არის წარმოდგენილი ეროვნული უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები საქართველოს მთავარი პოლიტიკური პარტიების პროგრამულ და სტრატეგიულ დოკუმენტებში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და 2015 წლის 17 აგვისტოს განკარგულებით დაამტკიცა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია. მიმდინარე პერიოდში უკვე ხორციელდება სტრატეგიაზე დაფუძნებული ხუთწლიანი (2015-2020) გეგმა. ამ ინიციატივის მთავარი მიზანია საქართველოს საზოგადოებაში ეროვნული უმცირესობების სრულფასოვანი და ღირსეული ინტეგრაცია მათი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებით. ეს დამოკიდებულება იზიარებს იმ ძირითად ფასეულობებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების გზაზე. მით უმეტეს, რომ 2005 წელს საქართველო შეუერთდა „ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ“ ევროპულ ჩარჩოკონვენციას. სამთავრობო სტრატეგია მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის იმ გამოწვევების შესახებ, რომელთა დაძლევა აუცილებელია ქართველ საზოგადოებაში ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციისთვის და ამავდროულად, გვაცნობს საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ ღონისძიებებს ამ მიზნის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, ეს დოკუმენტები მნიშვნელოვანია წინამდებარე ნარკვევის კონტექსტისთვის, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად მაქსიმალური სიზუსტით შევაფასოთ, თუ რა ადგილი უკავია ეროვნული უმცირესობების პრობლემატიკას პარტიების პოლიტიკურ პლატფორმებსა თუ პროგრამულ დოკუმენტებში.

ამ მიზნით, შევეცადეთ შეგვესწავლა პარტიების საარჩევნო პროგრამები და სხვა ძირითადი, რელევანტური დოკუმენტები 2012 წლიდან დღემდე და მათ საფუძველზე გაგვეანალიზებინა, რამდენად პრიორიტეტულია საქართველოში არსებული ძირითადი პოლიტიკური პარტიებისთვის ეროვნული უმცირესობები, მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში და მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარება.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, რომლის განვითარებაში აქ მცხოვრებ ყველა ეთნოსს მიუძღვის თავისი წვლილი. ამასთან, თითოეული მოქალაქე თანასწორი უფლებით სარგებლობს, მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა. სტრატეგიის თანახმად, განსაკუთრებული გამოწვევაა აზერბაიჯანელებითა და სომხებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო საზღვართან ახლოს მდებარეობს. არ არის გამორიცხული, ჩვენი სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული უარყოფითი მოვლენების განვითარების შემთხვევაში, ირედენტიზმისა და/ან თემთაშორის დაპირისპირების საფრთხე რეალური გახდეს, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ სამხრეთ კავკასიაში უკვე არსებულ გაყინულ კონფლიქტებს. სტრატეგიაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ის ძირითადი ამოცანა, რომლის გადაუჭრელად ძნელია ილაპარაკო წარმატებულ ინტეგრაციაზე. ეს არის ეროვნულ

უმცირესობებში ქართული ენის არცოდნა - 2002 წლის მონაცემებით სახელმწიფო ენას მხოლოდ 30 პროცენტი ფლობდა[1].

წარმატებული ინტეგრაცია ოთხ ძირითად მიმართულებას მოიცავს: პოლიტიკურ და სამოქალაქო ჩართულობას, თანასწორ სოციოეკონომიკურ განვითარებას, განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობასა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარებას. ცხადია, ოთხივე მიმართულება ურთიერთდაკავშირებულია და გავლენას ახდენს ერთმანეთზე.

კვლავაც პრობლემად რჩება ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გენდერული თანასწორობის მდგომარეობა, როგორც ამას არაერთი დაკვირვება და კვლევა აჩვენებს, მათ შორის, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის 2017 წლის კვლევა[2]. სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ნორმას წარმოადგენს არასრულწლოვანთა ქორწინება, რაც გენდერული თვალსაზრისით უთანასწორობის ერთ-ერთი ინდიკატორია.

ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ურბანული კულტურისგან მოწყვეტილ პერიფერიებში ზოგადად უფრო რთულია ლიბერალური ფასეულობების გავრცელება და დამკვიდრება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ადგილობრივ მოსახლეობას უჭირს სახელმწიფო ენაზე კომუნიკაცია და ინფორმაციის მიღება. არაერთი კვლევის თანახმად, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ამ რეგიონებში მოსახლეობის უმრავლესობა ინფორმაციას, ძირითადად, რუსული ტელეარხების საშუალებით იღებს. ქართულენოვანი ტელეარხები კი, რომლებიც დანარჩენი მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროა, ამ რეგიონებში პრაქტიკულად ბოლო ადგილს იკავებენ სატელევიზიო რეიტინგებში. ამასთან, რუსული არხების გარდა, მათ სამცხე-ჯავახეთის რიგ რაიონებში - სომხური, ხოლო ქვემო ქართლის შესაბამის რაიონებში აზერბაიჯანული არხებიც უსწრებენ. ამ საინფორმაციო ნაკადის ხასიათი ძნელად შეიძლება ჩაითვალოს ტოლერანტობის, გენდერული თანასწორობისა თუ ცივილიზაციური პროგრესის შინაარსის მატარებლად. უფრო მეტიც, ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობა, ისევე როგორც აშშ, უკვე სერიოზულ და რეალურ გამოწვევად ასახელებს რუსულ პროპაგანდას, რომელიც ხშირად არ ერიდება ფაქტების დამახინჯებას დასავლური იდეალებისა და ღირებულებების საკომპრომეტაციოდ და, იმავდროულად, ხელს უწყობს ქსენოფობიური და ნაციონალისტური იდეების გაღვივებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ სომხეთი და აზერბაიჯანი ასევე ავტორიტარულ ქვეყნებს წარმოადგენენ, შეგვიძლია დიდი დამაჯერებლობით ვთქვათ, რომ არც მათი საინფორმაციო საშუალებები არიან დაკავებული ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების გავრცელებით.

საქართველოს სწრაფვა ევროატლანტიკურ ინსტიტუციებში ინტეგრაციისკენ უკვე რეალურ შედეგებს იძლევა. ამ ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობა (და განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობები) სრულად და ამომწურავად ინფორმირებული იყოს. ეს ამოცანა რთული შესასრულებელია ინფორმაციული იზოლაციისა და რუსული პროპაგანდის ფონზე. ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, სწორედ ამ რეგიონების მოსახლეობაა ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი და, უკვე აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ამგვარი დამოკიდებულების გამომწვევ მიზეზებზე გარკვეული აზრი შეგვექმნას.

---

1 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: http://smr.gov.ge/FileList.aspx?ID=34, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879

2 ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის, ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში, 2017. ხელმისაწვდომია: http://eecmd.org/wp-content/uploads/2017/08/Policy_Papers_GEO.pd

ორივე რეგიონში მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონია. მართალია, ქვემო ქართლის რეგიონში მოსახლეობის შემოსავლები ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე ოდნავ მაღალია (მაშინ როდესაც ეს საშუალო მაჩვენებელი გამოთვლილია თბილისის გამოკლებით), მაგრამ გამოკითხვები და არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სამუშაოს ძებნა ქვეყნის საზღვრებს გარეთ უწევს. უარესი მდგომარეობაა სამცხე-ჯავახეთში, მით უმეტეს, რომ ამ რეგიონის მოსახლეობის შემოსავალი საშუალოზე 10 პროცენტით დაბალია.

მძიმეა მდგომარეობა განათლების თვალსაზრისითაც. ქართული ენის არცოდნა, როგორც უკვე აღინიშნა, ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია ქართული საგანმანათლებლო სისტემის რესურსების სრულად გამოყენებისთვის. მართალია, ე.წ 1+4[3] პროგრამის დანერგვამ ბევრ ახალგაზრდას მისცა საშუალება, მიეღო უმაღლესი განათლება საქართველოს უნივერსიტეტებში, მაგრამ მათი რიცხვი, ვისაც ამ პროგრამით სარგებლობა შეუძლია, კვლავ მცირეა. არასახარბიელო მდგომარეობაა სკოლის დონეზე ქართული ენის შესწავლის მხრივაც.

ბუნებრივია, ამ ნარკვევის კონტექსტიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ეროვნული უმცირესობების სრულფასოვან და შინაარსიან ჩართულობას პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში. ამ მიმართებით ნათლად ჩანს, რომ მათი ჩართულობის ხარისხი დაბალია. ეროვნული უმცირესობები, ტრადიციულად, გაცილებით მცირე პროპორციით არიან წარმოდგენილი ქვეყნის საკანონმდებლო და მმართველობით ორგანოებში, ვიდრე საქართველოს მოსახლეობაში. საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქალები ნაკლებად მონაწილეობენ საარჩევნო პროცესში. კოლექტიური ხმის მიცემის შემთხვევებიც ხშირად სწორედ ამ რეგიონებში გვხვდება. ასევე, ტრადიციულად, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ელექტორატი გამოიყენებოდა როგორც მთავრობის მხარდამჭერი ხმების რესურსი, ვინაიდან აქ მცხოვრები მოსახლეობის გარიყულობა ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებისგან ხელისუფლების უპირობო მხარდასაჭერად გამოიყენებოდა. ზოგადად საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი კი მმართველი ძალის ადმინისტრაციულ უპირატესობას კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის; სტატისტიკური მონაცემებით, დასაქმებული მოსახლეობის (აქ არ იგულისხმებიან თვითდასაქმებულები) ნახევარზე მეტი ხელფასს სახელმწიფოსგან იღებს. კიდევ უფრო დიდია საჯარო სამსახურში დასაქმებულთა წილი თბილისის მონაცემების გათვალისწინების გარეშე. ცხადია, ინფორმაციული იზოლაციის პირობებში ხელისუფლებას აქვს უფრო მეტი რესურსი, გავლენა მოახდინოს სახელმწიფოზე პირდაპირ დამოკიდებულ ამომრჩეველზე. ეს ტენდენცია ასეთი ცალსახა დღეს აღარ არის, ვინაიდან ყოფილი ხელისუფლების პარტიის ოპოზიციაში გადასვლამ და არა განადგურებამ, როგორც ყველა დანარჩენ შემთხვევაში ხდებოდა, განაპირობა გარკვეული პოლიტიკური დებატების წარმოშობა ამ ორ რეგიონშიც და პოლიტიკური კონკურენციის ნიშნებიც უკვე აშკარად შესამჩნევი გახდა. მეორე მხრივ, სხვა რეგიონების მსგავსად, პოლიტიკური კონკურენცია ვერ იღებს პროგრამულ დონეზე დაპირისპირების ხასიათს და ამ კონკურენციას კლიენტელისტური ფორმა აქვს.

საინტერესოა, რამდენად არის ასახული ეს გამოწვევები საქართველოს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებში. ამ კუთხით ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად მოვიძიეთ ამ პარტიების საარჩევნო პლატფორმები 2012 წლიდან დღემდე. შესაბამისად, გავაანალიზეთ დოკუმენტები 2014, 2017 წლის ადგილობრივი არჩევნებისა და 2012, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩათვლით.

ამ თვალსაზრისით, გავეცანით ათზე მეტი საარჩევნო სუბიექტის პოლიტიკურ პროგრამებს, ისევე როგორც მერობის 43 კანდიდატის შეხედულებებს ათეულობით საკითხზე.

3 1+4 პროგრამა ხელმისაწვდომია: http://smr.gov.ge/detailspage.aspx?ID=56

საგულისხმოა, რომ პრაქტიკულად ყველა სუბიექტის მიერ წარმოდგენილ პასუხებში იგრძნობა ეროვნული უმცირესობების საკითხის შეზღუდული ცოდნა და ინტერესი. არც ერთი საარჩევნო პროგრამა, გარდა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ პროგრამებისა, არ ახსენებს რაიმე კონკრეტულ მექანიზმს, რომელიც ხელს შეუწყობდა ეროვნული უმცირესობების წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებას. ამ შემთხვევაშიც, „ქართული ოცნების“ 2012 წლის პროგრამა ბევრად უფრო დეტალურია და კონკრეტულ მექანიზმებს შეიცავს, ვიდრე ამავე პარტიის 2016 წლის პლატფორმა. პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა კი აპელირებას ზოგად პრინციპებსა და ღირებულებებზე ახდენს. უმცირესობებზე საუბრისას პოლიტიკური პარტიების ნაწილს საკმარისად მიაჩნია აღნიშნოს, რომ დაცული უნდა იყოს საქართველოში მცხოვრები თითოეული ადამიანის უფლება, მათ შორის რელიგიური და ეროვნული უმცირესობებისა. ეს მიუთითებს ან ამ საკითხის არსის გაუცნობიერებლობაზე, ან უმცირესობების უფლებების მნიშვნელობის დაკნინებაზე. ეს უკანასკნელი მიდგომა კი გამოწვეულია უმცირესობებთან დაკავშირებული ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტით და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სეპარატისტული მოძრაობების წარმატებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის განხილვისას უსაფრთხოების განზომილების გათვალისწინება აუცილებელია, მაგრამ დემოკრატიული სახელმწიფოსთვის ერთადერთი გამოსავალი სწორედ უმცირესობების სრულფასოვანი სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციაა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დისკუსიაში. აღნიშნული მიდგომა გაანეიტრალებს პოტენციურ საფრთხეებს, რომელთა სათავისოდ გამოყენება უშუალოდ შედის იმ ქვეყნის ინტერესებში, რომელიც ცალსახად უპირისპირდება საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას და ჩვენი ქვეყნის მიერ აღებულ კურსს ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ. საყურადღებოა, რომ 2016 წლის „ქართული ოცნების“ პროგრამაში უმცირესობების საკითხი უფრო ზოგადი სახით არის წარმოდგენილი, ვიდრე ეს იყო 2012 წელს, მაგრამ სხვა პარტიებთან შედარებით განხილული თემატიკა უფრო შინაარსიანი და თანმიმდევრულია. როგორც ჩანს, ეს განპირობებულია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნით. სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა დღის წესრიგს აფართოებს და უფრო შორს მიდის, ვიდრე მხოლოდ ამომრჩეველთა უმრავლესობისთვის პრიორიტეტული საკითხების განხილვაა. ამის მიუხედავად, თვითმმართველი პარტიის მიერ შემოთავაზებული მექანიზმებიც მოკლებულია კონკრეტიკას და მათში არ იგრძნობა პრობლემის სიმწვავე.

კიდევ უფრო ნაკლებად არიან წარმოდგენილი ეროვნული უმცირესობები ადგილობრივი არჩევნების პოლიტიკურ დისკუსიაში. 2014 წელს ერთადერთმა მერობის კანდიდატმა (ქ. გორი) ახსენა ეროვნული უმცირესობები, ხოლო პარტიულ პლატფორმებში ეს საკითხი მხოლოდ „ქართული ოცნების“ დოკუმენტში გამოჩნდა და მასშიც, ძირითადად, ზოგადი ფორმულირებით, თუმცა ხაზგასმით არის აღნიშნული სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამების მხარდაჭერის მნიშვნელობა.

ფაქტია, რომ პოლიტიკური პარტიები სათანადოდ არ და ვერ იყენებენ იმ რესურსს, რომელიც ამ მიმართებით არსებობს. მართალია, როგორც უკვე აღინიშნა, ეს რეგიონები ერთმნიშვნელოვნად უკვე აღარ მოიაზრება მთავრობის მხარდამჭერი ხმების წყაროდ, მაგრამ კონკურენტული არჩევნები უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. პრაგმატული თვალსაზრისით ოპოზიციურმა პარტიებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინონ ამ რეგიონების მიმართ და, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ აუთვისებელი პოლიტიკური რესურსი გააძლიერონ. მეორე მხრივ, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული გამოწვევებისთვის სათანადო ყურადღების მიპყრობა და ძირითად პოლიტიკურ დღის წესრიგში ამ ჯგუფების ჩართვა ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან ინტეგრაციას საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და განამტკიცებს საქართველოში დემოკრატიული და ლიბერალური ინსტიტუციებისა თუ ღირებულებების მიმართ პატივისცემას.

ეროვნული უმცირესობები რუსული პროპაგანდის პირისპირ

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში რუსული პროპაგანდა დემოკრატიული მსოფლიოსთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად ჩამოყალიბდა. უფრო ადრე კი ამ პროპაგანდისტული იარაღის უარყოფითი გავლენა არაერთხელ გამოსცადეს საკუთარ თავზე ყოფილმა საბჭოთა ქვეყნებმა. ფაქტია, რომ 2008 წლიდან მოყოლებული ეს იარაღი დაიხვეწა და სერიოზულ პრობლემად იქცა. პროპაგანდა საინფორმაციო ომის ნაწილია და მიზნად ისახავს რეალური ფაქტებისა და მოვლენების დამახინჯებით ან საერთოდ, ტყუილზე დაფუძნებული რიტორიკით ხელი შეუწყოს საკუთარი ქვეყნის დადებითად წარმოჩენას, მოწინააღმდეგე ქვეყნის უარყოფითი იმიჯის შექმნას და მისი პოზიციის შესუსტებას. ცივი ომის დროს საბჭოთა პროპაგანდა განსაკუთრებულ როლს თამაშობდა გლობალურ დაპირისპირებაში. მისი დღევანდელი ნაირსახეობა სრულად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებსა და შესაძლებლობებს.

რუსეთის ფედერაცია წელიწადში 300 მილიონ დოლარს ხარჯავს მხოლოდ ტელე-არხ Russia Today-ს (RT) შენახვაზე, რომელიც ძირითადად ქვეყნის საზღვრებს გარეთ მაუწყებლობს. ეს კი საერთო დანახარჯის საკმაოდ მცირე ნაწილია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ პროპაგანდისტულ მიზნებს რუსეთის პრაქტიკულად ყველა სატელევიზიო არხი ემსახურება. მათ გარდა, სრული დატვირთვით მუშაობენ სოციალურ ქსელებში დასაქმებული ე.წ. ტროლებიც, რომლებიც შენიღბული იდენტობით ცდილობენ, გავლენა მოახდინონ სხვადასხვა ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. მაგალითისთვის, „რადიო თავისუფლების“ ინფორმაციით, ისეთ სოციალურ ქსელებში როგორებიცაა: Twitter, Facebook, LiveJournal, ВКонтакте, არსებობს ათასობით პირადი ანგარიში, რომელთა მფლობელები დასაქმებული არიან რუსეთის მიერ და კონკრეტული ანაზღაურების ფასად ცდილობენ ე.წ. ჩეტ ოთახებში, ფორუმებსა და ვებგამოცემების კომენტარების სექციაში თავიანთი აქტივობით ხელი შეუწყონ კრემლისთვის სასარგებლო აზრისა თუ შეხედულების გავრცელებას. ერთ-ერთი ყოფილი ტროლის ინფორმაციით, ამ საქმიანობით დაკავებულებს 12-საათიანი სამუშაო დღე აქვთ და ვალდებული არიან, დღის განმავლობაში მინიმუმ 135 პოსტი განათავსონ, რომელთა სიდიდე სულ ცოტა 200 ასო-ნიშანს უნდა შეადგენდეს[1].

კვლევითი ორგანიზაცია RAND Corporation-მა გააანალიზა რუსეთის განახლებული პროპაგანდისტული მანქანის მუშაობის სპეციფიკა და მასთან ბრძოლის ზოგადი რეკომენდაციებიც შეიმუშავა. ეს დოკუმენტი საშუალებას გვაძლევს სრულად გავიაზროთ რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომის მასშტაბები და თვალნათლივ დავინახოთ ის შეზღუდული კონტრზომები, რომელთა პრაქტიკაში გატარება ბოლომდე მაინც ვერ უზრუნველყოფს კრემლიდან მომდინარე სიცრუის ნაკადის განეიტრალებას. პროპაგანდის თანამედროვე ვარიანტი წააგავს საბჭოთა ვარიანტს, იმიტომ რომ ცდილობს, გაურკვევლობისა და დაბნეულობის შემოტანით იმოქმედოს მიზნობრივ ჯგუფებზე, რათა მათ იმუშაონ რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ, თანაც ამის გაცნობიერების გარეშე; მეორე მხრივ კი, თანამედროვე ვარიანტი ბევრი ასპექტით განსხვავებულია.

---

1 ტელეკომპანია «Дождь», 2017. ხელმისაწვდომია: https://tvrain.ru/teleshow/bremja_novostej/fabrika-447628/

პირველი, მთავარი აქცენტი კეთდება ინფორმაციის წყაროებისა და არგუმენტების სიმრავლეზე. ეს ნიშნავს რუსეთისთვის სასარგებლო ინტერპრეტაციის გავრცელებას, როგორც სხვადასხვა სატელევიზიო არხით, ისე ინტერნეტგამოცემებით, ფორუმების საშუალებით, კომენტარებით და ა.შ. ამავდროულად, გავრცელებული ინტერპრეტაციები შესაძლოა არც ემთხვეოდეს ერთმანეთს - მთავარია, მათი ზემოქმედების ეფექტი რუსეთისთვის სასარგებლოდ მიმართავდეს საზოგადოებრივ აზრს. კვლევების თანახმად, აუდიტორიას უფრო დამაჯერებლად ეჩვენება მოსაზრება, თუ მას ბევრი წყარო ადასტურებს. ასევე, თუკი აუდიტორიას განხილული საკითხი დიდად არ აინტერესებს, მისთვის სარწმუნოა ის შეხედულება, რომელიც სხვადასხვა არგუმენტით არის გამყარებული, იმის მიუხედავად, თუ რამდენად სარწმუნოა თითოეული ეს არგუმენტი. ინფორმაცია თუ შეხედულება სარწმუნოა, როცა მას თანამემამულეები ავრცელებენ, ამიტომაც რუსი ინტერნეტაქტივისტები ხშირად ადგილობრივებად ასაღებენ თავს. მაგალითად, სწორედ ასე ახდენდნენ ტრამპის მხარდასაჭერი აქციების ორგანიზებას აშშ-ის სხვადასხვა ქალაქში. საბოლოოდ, დეზინფორმაციის დიდი მოცულობით მიწოდება ხელს უშლის სხვა წყაროების გაცნობას, ახშობს ამ წყაროების გზავნილს, ხოლო მრავალი წყაროს გამოყენება უზრუნველყოფს სამიზნე აუდიტორიის დაფარვას და სიმრავლის ეფექტიდან გამომდინარე მის სანდოობასაც ზრდის. ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის წყარო ადგილობრივი იყოს, ამიტომაც არის, რომ რუსული საინფორმაციო მანქანა ცდილობს, დასაყრდენი ადგილობრივ მედიაშიც იპოვოს და პროპაგანდა შეფარვით გაავრცელოს.

მსგავსი მაგალითები ხშირია ქართულ რეალობაშიც. ამის მაგალითად გამოდგება მოკლე ინფორმაცია, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ გამოაქვეყნა ქართულმა საინფორმაციო პორტალმა alt-info.com-მა, რომლის მიხედვითაც თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი აცხადებს, რომ აპირებს გადახედოს ლოზანის საზავო ხელშეკრულებას და აქედან გამომდინარე, თურქეთის საზღვრებს[2]. ეს ინფორმაცია მიზნად ისახავს ქართველ საზოგადოებას გაუჩინოს შიში თურქეთის მიმართ აჭარასთან მიმართებით და ამით ყურადღება გადაიტანოს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის საკითხიდან. ამ კონკრეტული ინფორმაციის თავდაპირველი წყარო - ფრანგული France 24 კი მიუთითებს, რომ ერდოღანმა მსგავსი განცხადება გააკეთა საბერძნეთში ვიზიტის წინ და ეხებოდა თურქეთის პრეტენზიებს საბერძნეთის ტერიტორიული წყლების შესახებ ეგეოსის ზღვაში. „მითების დეტექტორი“ ერთ-ერთი მთავარი ქართული პროექტია ამგვარი დეზინფორმაციის აღმოსაჩენად და მასთან საბრძოლველად. ამ ვებგვერდზე არაერთი მსგავსი მაგალითია იდენტიფიცირებული[3].

მეორე, პროპაგანდის შემცველი ინფორმაციული ნაკადი სწრაფი, უწყვეტი და განმეორებადია. 2016 წლის იანვარში ხელახლა გავრცელდა მანამდე უკვე უარყოფილი რუსული დეზინფორმაციული ახალი ამბები, როგორიც იყო პოლონეთის პრეზიდენტის მიერ ვითომდა გაკეთებული განცხადება უკრაინულ მიწებზე პოლონეთის პრეტენზიების თაობაზე, ასევე დაეშის მებრძოლების უკრაინულ ჯართან მიერთების შესახებ და სხვ. ეს სტრატეგია ეფუძნება ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მიგნებებს, რომელთა მიხედვითაც ხშირად განმეორებული ინფორმაცია გარკვეული დროის გასვლის შემდეგ უფრო სარწმუნო ხდება. ეს, ე.წ. „ილუზორული სიმართლის“ ეფექტია - მსმენელი უფრო მეტი ნდობითაა განწყობილი არგუმენტის მიმართ, თუკი ის ადრეც აქვს მოსმენილი.

მესამე, რუსული პროპაგანდისთვის ჭეშმარიტება მეორეხარისხოვანია, ამიტომაც ხშირია ფაქტების დამახინჯება, გაყალბება და გამოგონება. ამგვარი კამპანიების მაგალითებია დეზინფორმაცია ლუიზიანის შტატში მომხდარი ქიმიური კატასტროფის შესახებ, რომელიც სოციალური ქსელების მეშვეობით 2014 წლის შემოდგომაზე გავრცელდა; ასევე მარია

2 საინფორმაციო პორტალი „ალტ-ინფო“, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2AFrX88

3 მითების დეტექტორი, http://mythdetector.ge/

კატასონოვას სიუჟეტი დონბასში მიმდინარე ბრძოლების შესახებ, რომელიც სტუდიაში იწერებოდა და რომელშიც ვითომ ფრონტის სიახლოვეს მყოფი ჟურნალისტი ამტკიცებდა, უკრაინული სამხედროების მიერ ინტენსიური სროლის დაწყებას. უფრო მეტიც, რუსეთში გამოცემულია ცნობილ მეცნიერთა - ედვარდ ლუკასის, ლუკ ჰარდინგისა და დონ იენსენის - ნაშრომები, რომელთა ავტორობას ეს ადამიანები დღემდე უარყოფენ. ამ შემთხვევაში, მთავარია, ინფორმაციის პირველად მიმწოდებელი იყო და არა ის, თუ რამდენად ახლოს არის გავრცელებული ამბავი სიმართლესთან.

მეოთხე, არ არის აუცილებელი პროპაგანდა თანმიმდევრული იყოს. კვლევები აჩვენებს, რომ ინფორმაციის ურთიერთგამომრიცხავი ვერსიების გავრცელება მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს მის სანდოობაზე, თუკი ამ ფაქტის ასახსნელად დამაჯერებელი გარემოებები არსებობს. მაგალითად, უკრაინაში ჩამოგდებული მალაიზიური სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფისთანავე რუსულმა წყაროებმა ერთდროულად რამდენიმე ვერსიის მოსინჯვა დაიწყეს, რათა შეერჩიათ ის ინტერპრეტაცია, რომელმაც მეტი ნდობა დაიმსახურა (უკრაინელებს ეგონათ, რომ თვითმფრინავში პუტინი იჯდა, მგზავრები უკვე დაიხოცნენ, თვითმფრინავში იყო ბომბი და სხვ.).

პროპაგანდასთან ბრძოლა წარმოუდგენლად რთულია, ვინაიდან დეზინფორმაციის გავრცელების შემდეგ კიდევ უფრო რთულია სიმართლის დადგენა. საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს ინფორმაციის კორექტირების იმედი, რაც ისევე ეფექტურია, როგორც საგაზეთო პუბლიკაციაში გაპარული შეცდომის გასწორება გაზეთის შემდეგ ნომერში. აქედან გამომდინარე, ავტორები სამ ძირითად მიდგომას გვთავაზობენ: პირველი, აუდიტორიის გაფრთხილება მოსალოდნელი დეზინფორმაციის შესახებ; მეორე, აღმოჩენილი სიცრუის შესახებ ინფორმაციის მრავალგზის გამეორება და მესამე, დამახინჯებული ინფორმაციის უბრალო კორექტირების ნაცვლად აუდიტორიისთვის სრული ვერსიის ხელახლა მიწოდება.

ბუნებრივია, თუკი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის რუსული პროპაგანდა იმდენად მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომ არაერთი მკვლევარი „რადიო თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმისთვის“ ცივი ომისდროინდელი დაფინანსების აღდგენას ითხოვს, გაცილებით რთულ მდგომარეობაში არიან რუსეთის ტრადიციული გავლენის სფეროში მყოფი სახელმწიფოები. განსაკუთრებული წნეხის ქვეშ კი სწორედ ისეთი ქვეყნები ექცევიან, რომლებიც ამ გავლენისგან თავის დაღწევას ცდილობენ. ასეთია საქართველო. დღეს ძნელია დანამდვილებით ითქვას, თუ რამდენს ხარჯავს რუსეთი საქართველოში საკუთარი ე.წ. რბილი ძალის გასაძლიერებლად, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ძალისხმევა იზრდება.

ამ მიმართებით განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფი ეროვნული უმცირესობებია. სახელმწიფო ენის არცოდნისა და ქართული პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრებისგან დიდწილად ჩამოშორების გამო, მეტად ძლიერია რუსული საინფორმაციო საშუალებების გავლენა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებზე. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2016 წლის საზოგადოებრივი გამოკითხვის თანახმად, ამ რეგიონებში ინფორმაციას რუსული არხებიდან ორნახევარჯერ მეტი ადამიანი ისმენს, ვიდრე საერთოდ საქართველოში. მნიშვნელოვანია სომხური და აზერბაიჯანული არხების გავლენაც ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რიგ რაიონებში, თუმცა რუსული არხები უპირობოდ ლიდერობენ. თუ სომხეთისა და აზერბაიჯანის მედიათავისუფლების დონეს გავითვალისწინებთ (2003 წლიდან მოყოლებული, Freedom House ორივე ქვეყანას არათავისუფალი მედიის მქონე ქვეყნებად მოიაზრებს), ძნელია დაიჯეროთ, რომ ისინი რუსულ ანტიდასავლურ პროპაგანდას სათანადოდ აბალანსებენ ან დემოკრატიული ღირებულებების გამავრცელებლებად გვევლინებიან. ყოველ შემთხვევაში, რუსული საინფორმაციო საშუალებების გავლენა უშუალოდ აისახება სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ მოსახლეობის განწყობებზე. სხვა გამოკითხვები ნათლად აჩვენებს, რომ რუსული ტელეარხების მსმენელი უფრო მოსალოდნელია სკეპტიკურად იყოს განწყობილი დასავლეთისა და დასავლური ღირებულებების მიმართ და კეთილგანწყობილი

იყოს რუსეთის სასარგებლოდ. ამ შეხედულებებზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2016 ივნისის და 2017 წლის აპრილის საზოგადოებრივი გამოკითხვები[4]. კერძოდ, გამოკითხვები აჩვენებს, რომ ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არაქართულ საინფორმაციო ტელეარხებს ორჯერ მეტად უყურებენ, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში. ამავე დოკუმენტის თანახმად, ამ რეგიონებში უფრო პესიმისტური დამოკიდებულება აქვთ ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების მიმართ, ხოლო გაცილებით მაღალია რუსეთისადმი კეთილგანწყობა და ნდობა.

ანტიდემოკრატიული ღირებულებების გავრცელება და ევროპული დღის წესრიგისადმი უნდობლობა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. საჭიროა დაისახოს ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ კონკრეტული მექანიზმების შემუშავებას. ეს შეიძლება იყოს როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემების უფრო მეტი რაოდენობით გადათარგმნა ეროვნული უმცირესობებისთვის გასაგებ ენებზე, ისე ადგილობრივი ტელევიზიების სათანადოდ გადამზადება. საშუალოვადიან პერსპექტივაში კი ძალაში რჩება სახელმწიფო ენის შესწავლის წამახალისებელი პროგრამების მხარდაჭერაც.

---

4 ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/georgia-polls/

2018